ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2019 წლის 22 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

5. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე.

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 20,5 ათასი ლარით იზრდება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის", ასაკობრივი ჯგუფების ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შრომის ანაზღაურების" ასიგნება და ეს ხორციელდება შესაბამის სამსახურებთან და მაჟორიტარ დეპუტატთან (დაჩი ბერაია) კონსულტაციების საფუძველზე. ეს იყო მათი მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა

ხელი შევუწყოთ ხობში ფეხბურთის განვითარებას. მცირეოდენი შესავლის შემდგომ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები 784,0 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან). 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხდება 399,9 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით გადიდდა შემოსავლები მუხლიდან „გრანტები" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) 599,2 ათასი ლარით და მიიმართა ქვეპროგრამის „საჯარო სკოლების დაფინანსება" ასიგნებაზე. ნაშთის 399,9 ათასი ლარი და გრანტებიდან მიღებული 784,0 ათასი ლარი, სულ 1183,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 1163,4 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე, აქედან: 66,0 ათასი ლარი მიიმართება ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე; 158,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნებაზე; 20,0 ათსი ლარი - ქვეპროგრამის „წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექპლოატაცია" ასიგნებაზე; 135,4 ათასი ლარი მიიმართება ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნებაზე; 784,0 ათასი ლარი - პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 1383,2 ათასი ლარით და შეადგინა 13238,0 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით,

სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს „ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება", ამასთან „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს წესს მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების თაობაზე. კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილებების ფარგლებში მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამკიცების თაობაზე", 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 25 დეკემბერს N67 დადგენილებით და ბიუჯეტის პირვანდელი შემოსავლები დაიგეგმა 8346,9 ათასი ლარით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი დაზუსტებულმა ბიუჯეტმა საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 13701,0 ათასი ლარი. ფაქტიურად ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 13816,2 ათასი ლარი და იგი შესრულებულია 100,8 %-ით. ხოლო საგასავლო ნაწილიში 2018 წლის გეგმა იყო 16019,4

ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება კი 13352,3 ათასი ლარი (83,4%). ფულადი სასხრების ნაშთმა 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით შეადგინა 2912,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე სახლების შესაკეთებლად გაიცემოდა დახმარება ფულადი სახით, მაგრამ ზემდგომიდან მიღებულ იქნა რეკომენდაცია ხელზე არ გაცემულიყო თანხა, გამომდინარე აქედან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შეძენილ იქნეს სახლის გადასახურად საჭირო მასალა, რაც განხორციელდება ტენდერის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბიუროს სხდომაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა და მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კ. ლატარია - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლების რეაბილიტაციისთვის გასაცემ ერთჯერად თანხის გაცემაზე, უარის შესახემ რაიმე ოფიციალური დოკუმენტი თუ არსებობდა?

შ. კანკია - განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანხის გაცემაზე, ზემდგომი ორგანოებიდან უარი მიიღეს სიტყვიერად.

კ. ლატარია, მ. ფილიპია, მ. აბაკელია, დ. გაბუნია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, სახლის შესაკეთებლად შეიძლება სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები დასჭირდეთ, რაშიც ამ განკარგულებით ვერ ეხმარებიან, რაც მოსახლეობის განაწყენებას გამოიწვევს.

ვ. გაბედავა - მერის პირველი მოადგილე - განაცხადა, რომ რადგანაც, ერთჯერად ფულად დახმარებაზე უარი ეთქვათ, მერის შესაბამის კომისიაშიც იყო ამაზე მსჯელობა, თუმცა ამ პროგრამისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტში 40,0 ათასი ლარია გამოყოფილი, თანაც დახმარებაზე განცხადებები ძირითადად სახლის გადახურვასთან დაკავშირებით შემოდიოდა მერიაში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოციალურად დაუცველ ოჯახებს დახმარებოდნენ სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალებით.

ე. ჯობავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ ბიუჯეტში დამატებითი თანხები შემოვიდოდა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, სახლის სარეაბილიტაციოდ სხვა სახის სამშენებლო მასალებით დახმარება?

ვ. გაბედავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ თუ დამატებით ბიუჯეტში თანხები გამოჩნდება, მაშინ რა თქმა უნდა შესაძლებელი იქნებოდა სხვა სახის სამშენებლო მასალებით დახმარებოდნენ მოსახლეობას.

ე. ჯობავა, დ. გაბუნია - გამომსვლელებმა, განაცხადეს, როდესაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს ერთჯერადად ფულადი საშუალებით ვერ ეხმარებიან, მაშინ მომავალში უნდა გამოინახოს გზა კანონშესაბამისად მათ დასახმარებლად, რადგანაც მოსახლეობა არ დაზარალდეს.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N48

განკარგულების მე-13 მუხლის მე-12 პუნქტში შედის ცვლილება და ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის შეძენა". გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიაში აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე, საჭიროდ იქნა მიჩნეული, საკითხი წარდგენილიყო საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

5. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აუდიტის ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2016 – 2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ წარმოდგენილი აუდიტის ანგარიში განხილულ იქნა საკრებულოს კომისიების გაფართოებულ სხდომაზე და მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი (დაჩი) ბერაია - საკართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დეტალურად გაეცნო სახელმწიფო აუდიტის მიერ წარმოდგენილ ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშს. გამომსვლელი დაინტერესდა, დასკვნაში წარმოდგენილი დარღვევებიდან გამომდინარე, თუ რის საფუძველზე ჩაიბარეს

ობიექტები და თუ ექსპერტიზის დასკვნები არასწორი იყო, მათ მიმართ შეტანილი ჰქონდათ თუ არა სარჩელები?

ვ. გაბედავა - მერის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განმარტა, რომ დასრულებული ობიექტების ჩაბარება განხორციელდა მერიის მხრიდან სამხარაულის დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, რომელსაც ეჭვის ქვეშ ვერ დააყენებდნენ, რადგან ეს მერიის კომპეტენციის ფარგლებს სცდებოდა.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მართალია სახელმწიფო აუდიტმა აღმოაჩინა ხარვეზები, თუმცა მერიის მხრიდან დეტალურად ვერ განხორციელდებოდა მშენებლობის ხარვეზების შესწავლა, გამომდინარე აქედან ჩაიბარეს ობიექტები წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე. მისი განცხადებით უფრო უპრიანი იქნება მერიის შესაბამის სამსახურს უფლება ჰქონდეს მშენებლობის პროცესშივე ჩაერთოს და თავიდანვე გააკონტროლოს მშენებლობის მიმდინარეობა.

ი. ბერაია - გამომსვლელი დაინტერესდა შესრულებული სამუშაოების ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით განხორციელდა თუ არა რაიმე სახის რეაგირება მერიის მხრიდან?

ზ. ბუკია - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ რამოდენიმე სარჩელი იქნა შეტანილი სასამართლოში ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით.

ჯ. ბერაია - მერიის ადმინისტარციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ სასამართლოში დადგენილი პრაქტიკით პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული ჯარიმის გადახდა, მხოლოდ ხელშეკრულების განსაზღვრულ ვადაში შესრულებული სამუშაოს გამოკლებითა და ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს მოცულობით განისაზღვრება, ამასთან სასამართლო მხედველობაში იღებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციას პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხოლოდ 0.02% ოდენობით დაკისრებას, მაშინ როცა თოთოეული შესყიდვისთვის ხელშეკრულება განთავსებულია ინტერენეტ სივრცეში და არც ერთ პრედენდენტს რაიმე სახის პრეტენზია პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის დადგენილ 0.1% ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან ჯარიმის დაკისრებაზე პრეტენზია არ განუცხადებია, ასევე არ გაუსაჩივრებიათ პირგასამტეხლოზე დაკისრებული თანხები დასკვნის ჩაბარებიდან ერთ თვეში მერთან თუ არ ჩავთვლით შპს „კომპანიონისა" და შპს „მშენებელი +" საჩივრებს, რომლებიც სასამართლოს მიერ უკვე წარმოებაშია მიღებული. ასევე აღსანიშნავია და მეტად მნიშვნელოვანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ბუნება, მისი სამრთლებრივი ფორმიდან გამომდინარე, რადგანაც შპს-ს ლიკვიდაცია ან რეგისტრაციის გაუქმება ისევე ადვილია, როგორც

დაფუძნება რაც რაიმე სახის ვალდებულებას უპასუხოს ან გადაიხადოს არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანი ან დაკისრებული პირგასამტეხლო არ გააჩნია, რადგანაც თუ შპს-ს არ გააჩნია თავისი ქონება ნაკისრი ვაკლდებულების შესრულებაზე პასუხს დამფუძნებელი არ აგებს, რაც არ უნდა ქონების მფლობელი იყოს. მაგალითად ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „კომპანიონს" ხობის კულტურის სახლის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოსთვის დააკისრა 103668 ათასი ლარი, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოსთვის დააკისრა 54 222 ათასი ლარი, საქმის წარმოება დაწყებულია და მიმდინარეობს ფოთის საქალაქო სასამართლოში, თუმცა სასამართლომ დღემდე ვერ უზრუნველყო მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რადგანაც შპს „კომპანიონის" იურიდიულ მისამართზე კომპანია არ იმყოფება, მორიგი პროცესი ჩანიშნულია 2019 წლის 11 აპრილს. შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის მერია მხედველობაში იღებს რა სახელმწიფო აუდიტის შენიშვნებს საჯარიმო სანქციების ამოღების გაუმჯობესების მიზნით სატენდერო დოკუმენტაციებში გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაკისრებული პირაგასამტეხლოს (ჯარიმის) თანხა მიმწოდებელს დაუკავოს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პირგასამტეხლოს (ჯარიმების) არგადამხდელ მიმწოდებლებთან ხელშეკრულებები არ გაფორმდება, არ უნდა გააჩნდეს დავალიანება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ, სამუშაოს არაჯეროვან შემსრულებელთა მიმართ წერილობითი გაფრთხილების შემდგომ, მომზადდება სამოქალაქო სარჩელები ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით.

ი. ბერაია - გამომსვლელმა განაცხადა, რომი ისინი ორიენტირებულიები არ არიან რომელიმე სამშენებლო კომპანიის დაჯარიმებით, პირიქით ყველა ინდ. მეწარმეს ხელი უნდე შეუწყონ მუშაობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს მშენებლობის ხარისხს და სამუშაოების დროულად ჩაბარებას არ მიაქციონ ყურადღება. მისი განცხადებით, თხოვნა ექნებოდა, რომ მშენებლობის ხარისხს მიქცეოდა ყურადღება, რადგანაც მათ უფლება არ ჰქონდათ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები უყაირათოდ გაეხარჯათ.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, ეთანხმება გამომსვლელს და საკრებულოს შესაბამისი კომისიები, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ჩაერთვებოდნენ და ადგილზე გააკონტროლებდნენ ობიექტებს მათი კომპენტენციის ფარგლებში.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის რეკომენდაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის რეკომენდაცია წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოეგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წელს დამტკიცებულ ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთათვის გასაცნობად და განსახილველად. გამომდინარე აქედან წარმოდგენილი აუდიტის ანგარიში განხილულ იქნა საკრებულოს კომისიების გაფართოებულ სხდომაზე, საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიასთან და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიასთან ერთად. გარდა ზემო აღნიშნული კომისიის წევრებისა აუდიტორული დასკვნის გაცნობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ანგარიშში დეტალურადაა ასახული აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები, მოყვანილია ფაქტები და გარემოებები. ძირითადად გამოვლენილია შემდეგი დარღვევები: ინფრასტრუქტურული ობიექტები, სადაც არ არის მიღწეული შესყიდვით დაგეგმილი შედეგი; ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდების ვადების გაზრდა სუბიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით; ისეთი ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩაბარება, რომელთა ხარისხის სათანადო ექსპერტიზით დადასტურება არ მომხდარა; შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში დაშვებული ნაკლოვანებები; ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მიმწოდებლებზე დარიცხული საჯარიმო სანქციების ბიუჯეტში მობილიზება; შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავება მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება; წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების განმეორებით დაშვება ან საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები არ გატარება; ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფა. გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები (სულ 7 რეკომენდაცია). წარმოდგენილმა აუდიტორულმა დასკვნებმა არ უნდა მიიღოს მარტო გაცნობითი ხასიათი, უნდა დაისახოს ღონისძიებათა სისტემა მდგომარეობისა და აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების მიზნით. მიზანშეწონილია ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ, მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა სათანადო შეფასება მისცენ ფინანსური ანგარიშგების, ფინანსური აუდიტისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის დასკვნებში მითითებულ დარღვევებს, მიზნად დაისახონ აღნიშნული და მსგავსი ხასიათის დარღვევების თავიდან აცილება, გაითვალისწინონ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საქმიანობა წარმართონ კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა განახორციელონ კონტროლი მერიის მხრიდან

აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად.

დაადგინეს: დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის და იურიდიულ საკითხთა კომისიებს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმოკლეს ვადაში შესრულებაზე, რაზედაც წერილობით ეცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მუნიციპალიტეტის მერიას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 22 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. დოდო გაბუნია
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მერაბ ფილიპია
9. კახა ლატარია
10. თენგიზ აბაკელია
11. შადიმან ჭილაია
12. ფრიდონ შონია
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. გოჩა სიჭინავა
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქაძანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. მერაბ ნადარაია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცლავა
25. ნიკოლოზ ვეკუა
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. იგორი გოგოლაძე
29. გიგა ნასარაია